ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
წარმომადგენლობითი საბჭო

ქ. ბათუმი 23 მაისი, 2014 წელი

გადაწყვეტილება № 05-01/01

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 18-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 34-36-ე მუხლების, ბხსუ-ს წესდების მე-17 მუხლის, 42-45-ე მუხლების საფუძველზე,

წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს: ა) სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების წესი (**დანართი 1**); ბ) კონკურსში მონაწილეობის მსურველის განცხადების ფორმა (**დანართი 2**); გ) კონკურსანტის ანკეტა (**დანართი 3**); დ) საჩივრის ფორმა (**დანართი 4**); ე) ცნობა საკონკურსო განცხადების მიღების შესახებ (**დანართი 5**); ვ) ცნობა საკონკურსო კომისიაში შემოსული საჩივრის მიღების შესახებ (**დანართი 6**); ზ) აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის მონაწილეთა სარეგისტრაციო ჟურნალის ფორმა (**დანართი 7**); თ) საკონკურსო კომისიაში შემოსული საჩივრების სარეგისტრაციო ჟურნალის ფორმა (**დანართი 8**); ი) შრომითი ხელშეკრულების ფორმა (**დანართი 9**);
2. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში **აკადემიური** თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების წესი დასამტკიცებლად წარედგინოს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს;
3. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი **თ. მეიშვილი**

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს 2014 წლის 23 მაისის
№ 04-01/19 დადგენილების

დანართი 1

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების წესი

I. ზოგადი დებულებანი

1.1. წინამდებარე წესის მიზანია უზრუნველყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში უნივერსიტეტში) აკადემიური თანამდებობის დაკავებას ღია კონკურსის წესით, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით.

1.2. კონკურსს ნიშნავს და აცხადებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

1.3. ინფორმაცია ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ უნდა შეიცავდეს კონკურსის ჩატარების თარიღსა და პირობებს. იგი უნდა გამოქვეყნდეს საჯაროდ, საკონკურსო განაცხადების მიღებამდე არაუგვიანეს 1 თვით ადრე.ზუსტი ვადა კონკურსის ჩატარების თარიღის, პირობებისა და საბუთების მიღების შესახებ განისაზღვრება აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

II. კომისიები

2.1. გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების შესაბამისი კონკურსის ჩატარების, მიზნით უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით იქმნება საკონკურსო და საპროცედურო კომისიები.

2.2. საპროცედურო და საკონკურსო კომისიების შემადგენლობას ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

2.3. საკონკურსო კომისია იქმნება უნივერსიტეტის პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ პროფესორისა და ასისტენტის თანამდებობაზე ასარჩევ კანდიდატთა გამოვლენის მიზნით.

2.4. საპროცედურო კომისია უზრუნველყოფს კონკურსანტთა განცხადებების მიღებას, მისი შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 3 წევრის (თავმჯდომარე, მდივანი და წევრი) ოდენობით. საპროცედურო კომისია პასუხისმგებელია საკონკურსო განაცხადებისა და საკონკურსო კომისიაში შემოსული კორესპოდენციების (მათ შორის განცხადებების/საჩივრების) მიღებასა და რეგისტრაციაზე, საპროცედურო კომისია რეგისტრაციაში ატარებს კონკურსში მონაწილეობის მსურველ კანდიდატებს და აძლევს შესაბამის ცნობებს, ახორციელებს ამ დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს. საპროცედურო კომისიის მდივანი ვალდებულია საკონკურსო კომისიის მდივანს გაუწიოს დახმარება სათანადო ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში.

2.5. საპროცედურო და საკონკურსო კომისიების შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ კონკურსში მონაწილე კანდიდატები.

2.6. საპროცედურო კომისია იმუშავებს წინასწარ გამოყოფილ სამუშაო ოთახში, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება კომპიუტერით და კარადით.

III. საკონკურსო პირობები

3.1. კონკურსის ძირითადი პირობები:

საშემსრულებლომიმართულებით

ა) პროფესორის თანამდებობაზე 6 წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელსაც კონკურსამდე დაკავებული ჰქონდა სრული პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობა და აქვს უმაღლესი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება.

ბ) ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე 6 წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელსაც კონკურსამდე დაკავებული ჰქონდა პროფესორის, ასოცირებული ან ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობა და აქვს უმაღლესი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;

გ) ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე 4 წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 1 წლის (მუსიკის ფაკულტეტზე არანაკლებ 3 წლის) და დარგის მიმართულებით არანაკლებ 5 წლის მუშაობის გამოცდილება და პროფესიული წარმატებები.
დ) ასისტენტის თანამდებობაზე 3 წლით ვადით შეიძლება არჩეულ იქნას პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის არანაკლებ 1 წლის და დარგის მიმართულებით არანაკლებ 3 წლის მუშაობის გამოცდილება და პროფესიული წარმატებები.

თეორიული მიმართულებით

ა) პროფესორის თანამდებობაზე 6 წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება.
ბ) ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე 6 წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

გ) ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე 4 წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება;

დ) ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნას დოქტორანტი 3 წლის ვადით, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება.

3.2.კონკურსში მონაწილეობის მსურველმა შესაბამის საკონკურსო კომისიაში უნდა წარადგინოს:
ა) სათანადო ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი განცხადება და ანკეტა (ფორმები გაიცემა საპროცედურო კომისიის მიერ), აგრეთვე მათში წარმოდგენილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია: დიპლომის, სერტიფიკატის, მოწმობის, სიგელის, ცნობის და ა.შ. ასლი (დედანის წარმოდგენით);
ბ) პირადობის მოწმობა (დედანი და ქსეროასლი);
გ) 2ც. ფოტოსურათი, 3X4.
დ) დარგის/სპეციალობის/საგნის სწავლების კონცეფცია სწავლების ორივე დონეზე;
ე) ბოლო 7 წლის განმავლობაში წაკითხული სალექციო კურსების ჩამონათვალი - ერთ-ერთი კურსის სილაბუსით;
3.3 შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატის გამოსავლენად გაითვალისწინება აგრეთვე:
ა) კონკურსანტის მიერ ბოლო 7 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სახელმძღვანელოები, ლექციების კურსები, მონოგრაფიები, საცნობარო ლიტერატურა, სამეცნიერო ნაშრომები და სხვა სახის პუბლიკაციები;
ბ) ბოლო 7 წლის განმავლობაში სამეცნიერო კონფერენციების (სიმპოზიუმები/ კონგრესები/ სესიები) ორგანიზება/მონაწილეობა;
გ) სასწავლო პროცესისა და კვლევისათვის სახსრების მოძიების გამოცდილება (სასწავლო და სამეცნიერო გრანტები და საერთაშორისო პროგრამები) (ბოლო 7 წლის განმავლობაში);
დ) ბოლო 7 წლის განმავლობაში დაცული საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა;
ე) პროფესიული, საბაკალავრო, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო კურსების, სალექციო კურსების, მოდულების ხელმძღვანელობა;
ვ) საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება, ოპონირება (ბოლო 7 წლის განმავლობაში);
ზ) წიგნების, კრებულების, ჟურნალების რედაქტორობა, რეცენზენტობა და რედკოლეგიის წევრობა;
თ) თანამედროვე სასწავლო პროგრამების ჩამოყალიბება და განვითარება: ელექტრონული სალექციო კურსების მომზადება და დანერგვა, კვალიფიკაციის ამაღლების კურსების მომზადება და დანერგვა;
ი) კვალიფიკაციის ასამაღლებელი სპეციალური ტრენინგების გავლა;

კ) შემოქმედებითი, სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მიღებული სახელმწიფო ჯილდოები, საპატიო წოდებები;
ლ) საკონკურსო მიმართულების შესაბამისი პედაგოგიური, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი კომპეტენციების დამადასტურებელი სხვა აქტივობები.
3.5. აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევად გათვალისწინებული იქნება აგრეთვე პირის პროფესიული კვალიფიკაცია და უნარ - ჩვევები, მისი კომპეტენციისა შესაბამისობა საკონკურსო თანამდებობასთან.

საშემსრულებლო მიმართულებით უპირატესობით იქნება :

ა) კონკურსანტის მიერ დადგმული სპექტაკლები, გადაღებული ფილმები, შესრულებული როლები, კონცერტები (სოლო ან სტუდენტური), გამოფენები, ლიტერატურული/შემოქმედებითი წარმოდგენის მომზადება და სხვა შემოქმედებითი აქტივობები.
ბ) ჯგუფის ხელმძღვანელობა, გამოშვებული ჯგუფების რაოდენობა, გამოშვებული სტუდენტების რაოდენობა;

IV. აკადემიური თანამდებობების დაკავების მსურველთა განცხადებების მიღება
4.1. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებებისა და თანდართული დოკუმენტების მიღებას ახორციელებს **საპროცედურო კომისია;**
4.2. განცხადებებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის მიღება ფიქსირდება სპეციალურ ზონარგაყრილ სარეგისტრაციო ჟურნალში, რომლის ყოველი გვერდი წინასწარ დანომრილი და დამოწმებულია საპროცედურო კომისიის თავმჯდომრის ხელწერითა და საუნივერსიტეტო ბეჭდით.
4.3. განცხადებების მიღების ვადის დასრულებისთანავე, საპროცედურო კომისიის მდივანი სარეგისტრაციო ჟურნალში აფიქსირებს, თუ რამდენი განაცხადით დასრულდა ჟურნალის წარმოება.
4.4. განცხადებების მიღების დროს დაშვებული შეცდომის შესახებ ჩანაწერი უნდა გაკეთდეს სარეგისტრაციო ჟურნალის "შენიშვნის" გრაფაში. სარეგისტრაციო ჟურნალში ჩანაწერის გადასწორება დაუშვებელია. "შენიშვნის" გრაფის შევსების შემდეგ განაცხადის მიღება უნდა გაფორმდეს ახალი სტრიქონიდან.
4.5. კონკურსში მონაწილეობის მსურველის (კონკურსანტის) განცხადება (შემდგომში საკონკურსო განცხადება) წარმოდგენილი უნდა იქნეს დადგენილი ფორმით.
4.6. საკონკურსო განცხადებაში უნდა აღინიშნოს: კონკურსანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, შესაბამისი ფაკულტეტისა და საკონკურსო თანამდებობის დასახელება. განცხადებაში მიეთითება აგრეთვე, რომ კონკურსანტი გაეცნო უნივერსიტეტის შინაგანაწესს და კონკურსის ჩატარების წესს.
4.7. კონკურსანტის განცხადება განიხილება მხოლოდ საკონკურსო განცხადებაში მითითებულ აკადემიურ თანამდებობაზე.
4.8. საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაერთოს კონკურსანტის ანკეტა, რომელშიც წარმოდგენილი იქნება სათანადო ინფორმაცია (მათ შორის იმ სასწავლო დისციპლინების ჩამონათვალი, რომლებშიც კონკურსანტს შეუძლია სალექციო კურსის ან/და სხვა მეცადინეობების გაძღოლა), რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება კონკურსანტის შესაბამისობის დადგენა საკონკურსო თანამდებობის მოთხოვნებთან და შესაბამისი სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამასთან (პროგრამებთან). საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაერთოს აგრეთვე წარმოდგენილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის: დიპლომი, სერტიფიკატი, მოწმობა, სიგელი, ცნობა და ა.შ. დედანი და ასლი, რომლის დედანთან სისწორეს ხელმოწერით ადასტურებს კომისიის წევრი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის/ინფორმაციის უტყუარობაზე პასუხისმგებელია განმცხადებელი.
4.9. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი არ მოითხოვს შესაბამის პუბლიკაციათა წარმოდგენას, თუ იგი დამოწმებული იქნება ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის ან სხვა შესაბამისი დაწესებულების/ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით;
4.10. განცხადების მიღების შემთხვევაში საპროცედურო კომისიის მიერ განმცხადებელზე გაიცემა ცნობა განცხადების მიღების შესახებ, რომელშიც აღინიშნება განმცხადებლის სახელი, გვარი, ფაკულტეტისა და საძიებელი თანამდებობის დასახელება, წარმოდგენილი დოკუმენტების სრული ნუსხა ფურცლების რაოდენობის მითითებით, ასევე საბუთების მიღების თარიღი და რიგითი ნომერი.
4.11. საპროცედურო კომისიისაგან ცნობის ან სხვა რაიმე საბუთის მიღებას განმცხადებელი სარეგისტრაციო ჟურნალში ხელმოწერით ადასტურებს.

V. საკონკურსო კომისია

5.1. საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს საკონკურსო დარგის სპეციალისტები. საკონკურსო კომისიის შემადგენლობა უნდა განისაზღვროს არანაკლებ 3 წევრის რაოდენობით.

5.2. საკონკურსო კომისია ისმენს საპროცედურო კომისიის ინფორმაციას შემოტანილი განცხადებების თაობაზე და მიღება–ჩაბარების აქტით იბარებს საპროცედურო კომისიისგან კონკურსანტების განცხადებებსა და წარმოდგენილ დოკუმენტაციას.

5.3. კონკურსანტის მხრიდან ყალბი მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, ან კონკურსანტის მონაცემების კონკურსის ძირითად პირობებთან არათავსებადობის შემთხვევაში კონკურსანტი მოიხსნება კონკურსიდან.

5.4. საკონკურსო კომისია შესაბამისი ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე გამოაკრავს კონკურსში მონაწილე და კონკურსიდან მოხსნილი კონკურსანტების სიებს.

5.5. საკონკურსო კომისია აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველი კანდიდატების მიერ წარმოდგენილი განცხადებებისა და დოკუმენტების შეფასების საფუძველზე, კონკურსით დადგენილ ვადებში გამოავლენს საუკეთესო მაჩვენებლების მქონე კონკურსანტებს და შეადგენს დასკვნას აკადემიურ თანამდებობებთან კანდიდატების შესაბამისობის თაობაზე. დასკვნა დადგენილ ვადებში გამოიკვრება ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე .

5.6. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია:

ა) განახორციელოს აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ორგანიზება და ჩატარება;

ბ) აირჩიოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი;

გ) მიიღოს ყველა გადაწყვეტილება კონკურსის საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით, თუ ამ დებულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

დ) მოხსნას კონკურსანტი კონკურსიდან;

ე) განიხილოს საპროცედურო დარღვევებთან დაკავშირებული განცხადებები/საჩივრები;

ვ) ნაწილობრივ ან მთლიანად გააუქმოს ან შეცვალოს მიღებული გადაწყვეტილებები;

თ) მიიღოს გადაწყვეტილება ამ დებულებით გათვალისწინებულ მის კომპეტენციაში შემავალ სხვა საკითხებზე.

ი) არ განიხილოს განცხადება/საჩივარი, თუ დარღვეულია მისი შეტანის ვადა და წესი.

5.8. საკონკურსო კომისიის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრიბრივი აქტით.

5.9. საკონკურსო კომისიას ეკისრება ვალდებულება კონკურსის ამ დებულებით დადგენილი წესით ჩატარებაზე.

5.10. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომისიის სხდომებს, ხელს აწერს შესაბამის ოქმებს და ახორციელებს ამ დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

5.11. საკონკურსო კომისიის სხდომებს ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება ხელმძღვანელობდეს კომისიის ერთ-ერთი წევრი, რომელიც აირჩევა იმავე სხდომაზე.

5.12. საკონკურსო კომისიის მდივანი უზრუნველყოფს კომისიის საქმისწარმოებას, ადგენს კომისიის სხდომის დღის წესრიგს და სხდომის ოქმებს (მათ შორის კონკურსის შედეგების შემაჯამებელ ოქმს),

5.13. საკონკურსო კომისიის სხდომის მოწვევის უფლება აქვს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს ან მისი წევრების არა ნაკლებ 1/3-ს.

5.14. საკონკურსო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის 2/3 მაინც.

5.15. საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებებს იღებს ღია კენჭისყრის წესით, კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობით, რაც ფორმდება შესაბამისი ოქმის (ოქმების) სახით.

5.16. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.

5.17. საკონკურსო და საპროცედურო კომისიის წევრების შრომის ანაზღაურებას ადგენს რექტორი შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით..

5.18. საკონკურსო კომისიის სრული დოკუმენტაცია კონკურსის შედეგების ძალაში შესვლის შემდეგ შესანახად გადაეცემა უნივერსიტეტის არქივს.

5.19. კონკურსის ჩატარების დღეს საკონკურსო კომისია განიხილავს კონკრეტულ საკონკურსო თანამდებობაზე არსებულ ვაკანსიებზე კონკურსში მონაწილე თითოეული კონკურსანტის მონაცემებს, ღია კენჭისყრით იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. ამასთან, საკონკურსო კომისიის ყოველ წევრს უფლება აქვს კონკრეტულ საკონკურსო თანამდებობაზე ხმა მისცეს არაუმეტეს იმდენ კონკურსანტს, რამდენი საკონკურსო ადგილიცაა მოცემულ თანამდებობაზე. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებები ფიქსირდება შესაბამის ოქმში (ოქმებში).

5.20. კონკურსში გამარჯვებულად (აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულად) ჩაითვლება კონკურსანტი, რომელსაც ხმას მისცემს საკონკურსო კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

5.21. მას შემდეგ, რაც კონკურსი ჩატარდება ყველა საკონკურსო თანამდებობაზე, საკონკურსო კომისიის მიერ ივსება და კენჭისყრით მტკიცდება შემაჯამებელი ოქმ(ებ)ი, რომლებშიც შეიტანება შემდეგი მონაცემები:
ა) საკონკურსო კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის სახელები და გვარები;
ბ) კენჭისყრაზე გამოცხადებულ საკონკურსო კომისიის წევრთა სახელები და გვარები;
გ) თითოეული კონკურსანტის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა;
დ) კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადებულ კონკურსანტთა სახელები და გვარები;
ე) შემაჯამებელი ოქმის დამტკიცების თარიღი.

თავი VI. განმეორებითი კონკურსის ჩატარების წესი

6.1. თუ კონკურსში რომელიმე საკონკურსო თანამდებობაზე არ მონაწილეობდა არც ერთი კონკურსანტი, ან კონკურსის ჩატარების შედეგად არ შეივსო შესაბამისი ვაკანსიები, დარჩენილ ვაკანსიებზე ინიშნება განმეორებითი (ხელახალი) კონკურსი აკადემიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე.

6.2 აკადემიური პერსონალის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში კონკურსი შეიძლება ჩატარდეს უფლებამოსილებაშეწყვეტილი პერსონალის დარჩენილი ვადით.

თავი VII. კონკურსის შედეგების გამოქვეყნება და აკადემიური პერსონალის ახლად არჩეული წევრის უფლებამოსილების ცნობა

7.1. საკონკურსო კომისია კონკურსის შედეგებს აქვეყნებს კონკურსის დასრულებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.
7.2. აკადემიური პერსონალის ახლად არჩეული წევრის უფლებამოსილება ძალაშია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან.

თავი VIII. კონკურსის პროცედურისა და შედეგების გასაჩივრების წესი

8.1. საკონკურსო კომისიის მიერ ამ დებულებით დადგენილი წესის დარღვევასთან დაკავშირებით კონკურსში მონაწილე კონკურსანტს ან საკონკურსო კომისიის წევრს უფლება აქვს შედეგების გამოქვეყნებიდან 24 საათის განმავლობაში შეიტანოს განცხადება/საჩივარი შესაბამის საპროცედურო კომისიაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივრები არ მიიღება.
8.2. განცხადება/საჩივარი უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:
ა) შესაბამისი საკონკურსო კომისიის დასახელება;
ბ) განცხადების/საჩივრის შემომტანი პირის სახელი, გვარი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი;
გ) განცხადების/საჩივრის შემომტანი პირის სტატუსი.
დ) დარღვევის შინაარსი;
ე) მოწმეების ვინაობა (იმ შემთხვევაში, თუ არსებობენ მოწმეები, რომლებიც დაადასტურებენ ამ ფაქტობრივ გარემოებას);
ვ) განცხადების/საჩივრის შემომტანი პირის მოთხოვნა;
ზ) განცხადების/საჩივრის შემომტანი პირის ხელმოწერა, თარიღი და დრო.
8.3. განცხადებას/საჩივარს თან უნდა ერთვოდეს დარღვევის ოქმის ასლი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
8.4. საპროცედურო კომისია უზრუნველყოფს განცხადების/საჩივრის რეგისტრაციას და საკონკურსო კომისიისათვის დროულ მიწოდებას. განმცხადებელს გადაეცემა ცნობა, რომელშიც აღინიშნება განცხადების/საჩივრის კომისიაში მიღების თარიღი და დრო. უნივერსიტეტის საკონკურსო კომისია ვალდებულია განცხადების/საჩივრის შეტანიდან 3 დღის განმავლობაში განიხილოს განცხადება ან /საჩივარი და მიიღოს გადაწყვეტილება მისი დაკმაყოფილების, დაკმაყოფილებაზე უარის ან მისი განუხილველად დატოვების შესახებ და აცნობოს კონკურსანტს..
8.5. განცხადების/საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილებას საკონკურსო კომისია იღებს იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ ამ დებულებით დადგენილი წესის დარღვევამ არსებითი გავლენა იქონია ან შეიძლება იქონიოს კონკურსის შედეგზე.
8.6. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დანართი 2

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს

მოქალაქე . . . . . .

. . . . . .

. . . .

. . . . . .

. . . . . .

/სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი,
საკონტაქტო ტელეფონის ნომერი/

განცხადება

მსურს მივიღო მონაწილეობა ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის. . . . . .

. . . . . .

ფაკულტეტის . . . . . დეპარტამენტის . . . . . .

. . . . . მიმართულების . . . . . .

. . . . . აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

გამოცხადებულ კონკურსში.

ამასთან ვადასტურებ, რომ გავეცანი და ვეთანხმები უნივერსიტეტის შინაგანაწესს და ამ კონკურსის ჩატარების წესს.

ხელმოწერა: . . . . . .

. . . . . .

/თარიღი/

რეგისტრირებულია:	_____	_____
	თარიღი	№ სარეგისტრაციო ჟურნალის მიხედვით
განცხადება მიიღო:	_____	_____
	სახელი, გვარი	ხელმოწერა

კონკურსანტის ანკეტა

1. განმცხადებელი:

გვარი		*სახელი*	
მამის სახელი		*დაბადების თარიღი*	
მოქალაქეობა		*საფოსტო ინდექსი*	
მისამართი			
ბინის ტელეფონი		*მობილური*		*e-mail*	
ოჯახური მდგომარეობა			

2. საკონკურსო თანამდებობა:

აკადემიური თანამდებობა	
ფაკულტეტი	
დეპარტამენტი	
მიმართულება	

3. სასწავლო კურსები (საგნები), რომელთა გაძღოლაც შემიძლია (მეცადინეობის ფორმა აღნიშნეთ √ -ით):

სწავლების საფეხური	*საგანმანათლებლო პროგრამა*	*სასწავლო კურსები*	*მეცადინეობის ფორმა*		
			ლექცია	*პრაქტიკული*	*პრაქტიკა*
B					
P					
M					
შეძლებთ თუ არა თქვენი სპეციალობით სხვა, მონათესავე სასწავლო კურსების გაძღოლას?					

4. განათლება

სასწავლებლის დასახელება	
სწავლის წლები	
ფაკულტეტი და სპეციალობა	
დიპლომის ნომერი	
კვალიფიკაცია	

5. საკონკურსო თანამდებობის პროფილის შესაბამისი პედაგოგიური, შემოქმედებითი, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა:

ა) პედაგოგიური საქმიანობა

- *პედაგოგიური აქტიურობა ბოლო 7 წლის განმავლობაში*

დაწესებულება	*დაწესებულების მისამართი*	*მუშაობის წლები*	*დაკავებული თანამდებობა*
სრული სამუშაო სტაჟი უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში			- წელი

ბ) შემოქმედებითი მუშაობა – ბოლო 7 წლის განმავლობაში

დასახელება	*შესრულების დრო*	*შესრულების ადგილი*	*შენიშვნა*
დადგმული სპექტაკლები (დრამის,საოპერო და ა.შ.)			
განხორციელებული როლები			
კონცერტები			
გამოფენები			
გადაღებული ფილმები			
ღია გაკვეთილი / ღია ლექცია			
ჯგუფის ხელმძღვანელობა			
გამოშვებული ჯგუფების ან/და კურსდამთავრებულთა რაოდენობა			
სხვა შემოქმედებითი მოღვაწეობა			

გ) სასწავლო-მეთოდური მუშაობის შედეგები: ბოლო 7 წლის განმავლობაში

დასახელება - სახელმძღვანელო (მათ შორის დამხმარე); სხვა სასწავლო-მეთოდური საშუალებები და ლიტერატურა	*გამომცემლობა*	*რაოდენობა*

მონოგრაფიების, კრებულების რედაქტორობა -- ბოლო 7 წლის განმავლობაში

1.
2.

დ) სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგები:

სამეცნიერო ან/ აკადემიური ხარისხი	*სადისერტაციო თემის დასახელება, დაცვის წელი*

პუბლიკაციები:

დასახელება - მონოგრაფიები ბოლო 7 წლის განმავლობაში ან მიღებულია დასაბეჭდად (დადასტურებული ცნობით) *სამეცნიერო სტატიები ან სხვა შემოქმედებითი პუბლიკაციები ბოლო 7 წლის განმავლობაში ან მიღებულია დასაბეჭდად (დადასტურებული ცნობით)*	*გამომცემლობა*	*გამოცემის წელი*	*რაოდენობა*
შენიშვნა: განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი არ მოითხოვს შესაბამის პუბლიკაციათა წარმოდგენას, თუ იგი დამოწმებული იქნება შესაბამისი დაწესებულების/ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით.			

ე) კონფერენციებში, სიმპოზიუმებში, კონკურსებში მონაწილეობა
სამეცნიერო გრანტები -- ბოლო 7 წლის განმავლობაში

1.

ვ) საბაკალავრო,/სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობა, რეცენზირება, ოპონირება -- ბოლო 7 წლის განმავლობაში

1.

6. კონკურსანტის სხვა აქტივობები, მიღწევები, კვალიფიკაცია, გამოცდილება და დამსახურება

აქტივობები, მიღწევები, კვალიფიკაცია, გამოცდილება და დამსახურება	გრადაცია	აღნიშვნა
მეცნიერებათა აკადემიების წევრობა	*საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი*	
	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი	
	საერთაშორისო ან საქართ-ველოს დარგობრივი მეცნიერებათა აკადემიის წევრი	
	სხვა	
სარედაქციო კოლეგიებში მუშაობის გამოცდილება (ბოლო 7 წლის განმავლობაში)	*ჟურნალის (შრომათა კრებულის) რედაქტორი (რედკოლეგიის წევრი), რეცენზენტი*	
კონფერენციების (კონგრესების, სიმპოზიუმე-ბის) საორგანიზაციო კომიტეტის წევრი (ბოლო 7 წლის განმავლობაში)	*უცხოეთში ჩატარებული*	
	საქართველოში ჩატარებული	
სტუდენტ დოქტორანტებისა და მაგისტრანტების ხელმძღვანელობა მიმდინარე პერიოდში		
დისერტაციის ოპონირება, ექსპერტიზა (მიუთითეთ მეცნიერებათა/აკადემიური დოქტორის ხარისხი), ბოლო 7 წლის განმავლობაში		
თანამედროვე სასწავლო პროგრამების ჩამოყალიბება და განვითარება ბოლო 7 სასწავლო წლის განმავლობაში:		
ა) ელექტრონული სალექციო კურსების მომზადება და დანერგვა. ბოლო 7 წლის განმავლობაში		
ბ) კვალიფიკაციის ამაღლების კურსების მომზადება და დანერგვა. ბოლო 7 წლის განმავლობაში		
გ) კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრეინინგების გავლა. ბოლო 7 წლის განმავლობაში		
დ) საგანმანათლებლო პროგრამის ჩამოყალიბებაში მონაწილეობის მიღება. ბოლო 7 წლის განმავლობაში		

საერთაშორისო ფესტივალებზე მიღებული ჯილდოები ბოლო 7 წლის განმავლობაში		
ჯილდოები		
სახელმწიფო პრემია		
სამეცნიერო დარგობრივი პრემიები		
ორდენი		
მედალი (სახელმწიფო)		
სხვა მედლები		
სტიპენდია: საერთაშორისო		
საპრეზიდენტო I		
საპრეზიდენტო II		
სხვა		
სხვა ჯილდოები და სიგელები		
საპატიო/სამეცნიერო წოდებები		
რომელი სამეცნიერო საბჭოს წევრი იყავით		
პროფესიული პრემია ან სტიპენდია		
კომპიუტერთან მუშაობის უნარები (მიუთითეთ კომპ. პროგრამები რომელსაც ფლობთ)		
სამეცნიერო გრანტები		
საერთაშორისო გრანტის ხელმძღვანელი ან ძირითადი შემსრულებელი.		
ადგილობრივი გრანტის ხელმძღვანელი ან ძირითადი შემსრულებელი.		
წარდგენილი, შეფასების „კარგი“ მქონე, მაგრამ კონკურსში ვერ გასული პროექტის ხელმძღვანელი ან ძირითადი შემსრულებელი.		
სხვა გრანტები		
სხვა აქტივობა, მიღწევა, კვალიფიკაცია, გამოცდილება და დამსახურება.		

7. სამსახურებრივი გამოცდილება

ა) სრული ჩამონათვალი

წლები	დაწესებულების დასახელება. თანამდებობა

ბ) შეთავსებით მუშაობა

წლები	დაწესებულების დასახელება. თანამდებობა

g) სამუშაო ადგილი განცხადების შემოტანისას

დაწესებულების დასახელება. მიუთითეთ შესაბამისი სტრუქტურული ერთეული	
დაწესებულების მისამართი	
დაწესებულების ტელეფონი	
დაკავებული თანამდებობა	
მუშაობის პერიოდი (წლები)	

d) შეთავსებითი სამუშაო ადგილი განცხადების შემოტანისას

დაწესებულების დასახელება. მიუთითეთ შესაბამისი სტრუქტურული ერთეული	
დაწესებულების მისამართი	
დაწესებულების ტელეფონი	
დაკავებული თანამდებობა	
მუშაობის პერიოდი (წლები)	

8. ენების ცოდნა

მშობლიური ენა:	
უცხო ენა:	*თვითშეფასებები - თავისუფლად, საშუალოდ, ლექსიკონის დახმარებით*

9. სხვა ინფორმაცია

მონაწილეობთ თუ არა კონკურსში აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში?	

წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას
ვადასტურებ, განმცხადებელი:

თარიღი:

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის

. . . . . ფაკულტეტის

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს

მოქალაქე . . . . . .

. . . . . .

/სახელი, გვარი, სტატუსი, პირადი ნომერი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი/

საჩივარი

გაცნობებთ, რომ . . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

დარღვევის დოკუმენტურად დასაბუთებული მტკიცებულებები წარმოდგენილია . . . ფურცელზე.

მოვითხოვ . . . . . .

. . . . .

ხელმოწერა: . . . . . .

. . . . . .

/თარიღი/

რეგისტრირებულია: _____ _____

თარიღი

რეგისტრაციის №:

განცხადება მიიღო: _____ _____

სახელი, გვარი ხელმოწერა

ცნობა № ……..

/სარეგისტრაციო ჟურნალის მიხედვით/

საკონკურსო განცხადების მიღების შესახებ

ეძლევა . . . . . .
მასზედ, რომ მან 2014 წლის . . . . . შემოიტანა განცხადება ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის . . . . . ფაკულტეტის . . . . . დეპარტამენტის. . . . . მიმართულების . . . . . აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში.

განცხადებას თან ერთვის:

1. კონკურსანტის ანკეტა . . . . . ფურცელზე;
2. სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის (დოქტორანტურაში სწავლის) დამადასტურებელი დოკუმენტი (დოკუმენტები). . . . . ფურცელზე;
3. სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილების (სტაჟის) დამადასტურებელი საბუთი (საბუთები) . . . . . ფურცელზე;
4. სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური ნაშრომების ნუსხა . . . . . ფურცელზე;
5. პირადობის მოწმობის ქსეროასლი;
6. ფოტოსურათი (3X4) . . . . ცალი;
7. დარგის/სპეციალობის სწავლების კონცეფცია სწავლების ორივე დონეზე . . . . . ფურცელზე;
8. ბოლო 7 წლის განმავლობაში წაკითხული სალექციო კურსების ჩამონათვალი - ძირითადი კურსის სილაბუსით . . . . . ფურცელზე;
9. სხვა დოკუმენტაცია . . . . . დასახელება . . . . . ფურცელზე.

განცხადება მიიღო:

_____ _____

სახელი, გვარი ხელმოწერა

სწორია:

დანართი 6

ცნობა № .....

/სარეგისტრაციო ჟურნალის მიხედვით/

საჩივრის მიღების შესახებ

ეძლევა . . . . . მასზედ, რომ მან 2014 წლის . . . . . შემოიტანა განცხადება/საჩივარი ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის საკონ-კურსო კომისიაში.

საჩივარი წარმოდგენილია . . . . ფურცელზე.

განცხადება/საჩივარი მიიღო:	_____	_____
	სახელი, გვარი	ხელმოწერა

დანართი 7 .

სსიპ „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის“
. . . . . ფაკულტეტის/მიმართულების
აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად
2014 წლის ---------- ---------- გამოცხადებული კონკურსის მონაწილეთა

სარეგისტრაციო ჟურნალი

რეგისტრაციის #	განცხადების შემოტანის თარიღი	განმცხადებლის სახელი და გვარი	დეპარტამენტი	საკონკურსო თანამდებობა	განცხადებისა და ანკეტის დანართები		ხელის მოწერა		შენიშვნა
					დოკუმენტები ს რაოდენობა	ფურცლების რაოდენობა	რეგისტ-რატორის	განმცხა-დებლის	

ჟურნალში დანომრილია, ზონარგაყრილია და . . . . . ბეჭდით დალუქულია . . . ფურცელი.

ხელმოწერა: . . . . . .
. . . . . .
/თარიღი/

დანართი 8.

სსიპ „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის“

. . . . . ფაკულტეტის/მიმართულების

საკონკურსო კომისიაში შემოსული საჩივრების

სარეგისტრაციო ჟურნალი

რეგისტრაციის #	განცხადების შემოტანის თარიღი	განმცხადებლის სახელი და გვარი	განმცხადებლის სტატუსი	განცხადების დანართები		ხელის მოწერა		შენიშვნა
				დოკუმენტები ს რაოდენობა	ფურცლების რაოდენობა	რეგისტ-რატორის	განმცხადებლის	

ჟურნალში დანომრილია, ზონარგაყრილია და . . . . . ბეჭდით დალუქულია . . . ფურცელი.

ხელმოწერა: . . . . . .

. . . . . .

/თარიღი/

სწორია: